

572/2
1980/2

ISSN 0132-5065

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი



საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

1980
მარტი
№3



შემონახულია ლენინის 1901 წლის 22 აპრილს დაწერილი წერილი. ამ დღეს ლენინს ოცდათერთმეტი წელი შეუსრულდა. პირველად შეხვდა ლენინი თავის დაბადების დღეს საზღვარგარეთ, სამშობლოდან შორს, ვერმანიის ქალაქ მიუნხენში.

— რაზე წერს ამ ბარათში ლენინი?

— ჩემოდანზე!

წერილში წერია—ეს ჩემოდანი დაუყოვნებლივ ფსკოვში უნდა გაიგზავნოსო.

საში დღის შემდეგ გაგზავნილ წერილში ლენინი კვლავ ჩემოდნებზე ლაპარაკობს.

ერთი თვის მერე ისევ ჩემოდნებს ახსენებს. „ჩვენ მარტო იმ ჩემოდნებით ცხოვრობთ“, —პურო ჩვენი არსობისა—ისევ და ისევ ის ჩემოდნებია“,—წერს ლენინი.

რა ისეთი საიდუმლოთი იყო მოცული ეს ჩემოდნები, რომ თავის დაბადების დღესაც ასე აღელვებდა ლენინს?

იმ დროს ფსკოვში ცხოვრობდა ლენინის

ამხანაგი, რევოლუციონერი პანტელიმონ ლეპეშინსკი.

ერთხელ ლეპეშინსკიმ სადგურის ტვირთის შესანახ კამერაში ჩაბარებული ჩემოდნის ქვეთარი მიიღო. ეს ტვირთი ლეპეშინსკის სადგურიდან უნდა გამოეტანა, მაგრამ არა ფსკოვის, არამედ ასეული კილომეტრებით დაშორებული ვიბორგის სადგურიდან.

ეტყობა, იმ კაცს, რომელსაც ჩემოდანი ფსკოვში უნდა ჩამოეტანა, შეეშინდა ფინეთის საზღვარზე მისი ვადმოტანა და ჩემოდანი ვიბორგში დატოვა, ქვეთარი კი ლეპეშინსკის გაუგზავნა. მაშინ ვიბორგი ფინეთს ეკუთვნოდა, ფინეთი—რუსეთს, მაგრამ მათ შორის საზღვარი მაინც არსებობდა. რაღა თქმა უნდა, ამ საზღვარზე უანდარმები მგზავრების ბარჯს ჩხრეკდნენ.

რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, ჩემოდანი უნდა გადაერჩინათ.

ლეპეშინსკიმ კარგად იცოდა, რა ფასდაუდებელი ტვირთიც იყო იმ ჩემოდანში.

ჩემოდნის გამოსახსნელად ლეპეშინსკის მეფულ-



ლე—ოღლა გაემართა. ვიბორგამდე უფათერა-
კოდ ჩავიდა და მძიმე ჩემოდანი უხიფათოდ
დაიხსნა. გაალო ჩემოდანი ოღლამ და ეღლა
ეცა—ცარიელი აღმოჩნდა! ის კი არ გაპკვირვე-
ბია, ჩემოდანი ცარიელი რომ იყო, კარგად იცო-
და, საიდუმლო ტვირთს ასე გამოსაჩენად არავინ
ჩადებდა შიგ. საქმე ის იყო, როგორ გადაეტანა
ეს ცარიელი ჩემოდანი საზღვარზე? ცარიელი
და მძიმე?! ჟანდარმები მაშინვე დაეპყდებოდ-
ნენ!

რატომ აქამდე არ იფიქრა ამაზე?
ახლა რალა ექნა?
მაშინვე მალაზის მიაშურა, იქნებ რამე ვიყი-
დო—კაბები, თერთული, და ჩემოდანი იმით გა-
ვავსო, მაგრამ იქვე შეჩერდა. ძალიან ცოტა
ფული ჰქონდა ოღლას, ისე ცოტა, ერთ კაბასაც
არ ეყოფოდა.

როგორ მოქტეულიყო?—ჩემოდანს ვიბორგში
ხომ არ დატოვებდა!
დაბნეული იჯდა ქალი სადგურის ფარდულ-
თან. უცებ დიდებული აზრი დაებადა.

იმავე დღეს, ტვირთის შემმოწმებელ ჟანდარმ-
თან ერთი ახალგაზრდა ქალი მივიდა, ცალ ხელ-
ში ჩემოდანი ეკირა, მეორეში კრენდელი. ასე-
თი კრენდლებით განთქმული იყო ვიბორგი.
მათ „ვიბორგულ კრენდლებს“ ეძახდნენ.

ახალგაზრდა ქალი გემრიელად შეეპტეოდა
კრენდელს, ჩემოდანიც ზალისიანად გაალო, აჰა,

თქვენი თვლით ნახეთ რა უბრალო რამ მიმაქვ-
სო.

ჩემოდანი ვიბორგული კრენდლებით იყო გა-
ტენილი.

გაოცებული ჟანდარმი ხან ოღლას უუტრებ-
და, ხან კრენდლებს.

საუკუნედ იქცა ეს წუთი ოღლასათვის.
ჟანდარმმა მხრები აიჩენა და თავი დაუტრა—
შეგძლიათ გაიაროთ, ყველაფერი რიგზეაო.
ოღლამაც შევებით ამოისუნთქა.

მალე ჩემოდანი ფსკოფში ლევეშინსკების
ოჯახში იყო. ლევეშინსკები ფრთხილად ხსნიდ-
ნენ ჩემოდანის კედლებსა და ფსკერს. კედლებში
და ფსკერში დაპარესილი, თხელი პაპიროსის ქა-
ლაღდების შეკრა იდო.

ეს გახლდათ რევოლუციური გაზეთი „ისკრა“,
რომელსაც ლენინი უშვებდა.

„ისკრა“ მუშათა და გლეხთა მძიმე ცხოვრე-
ბაზე ყვებოდა, მემამულეების, კაპიტალისტებისა
და მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწო-
დებდა მშრომელებს, ასწავლიდა, როგორ უნდა
ებრძოლათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

„ისკრა“ საზღვარგარეთ იბეჭდებოდა და რუ-
სეთში საიდუმლოდ იგზავნებოდა. შემდეგ
ლენინის თანამებრძოლები ავრცელებდნენ
მთელს ქვეყანაში.

აი, რა ჩემოდნების შესახებ წერდა ლენინი,
რაზე ფიქრობდა იგი თავის დაბადების დღეს
გერმანიის ქალაქ მიუნენში.

თარგმნა ენდი წერეთელია

16407



ლენინ, ოქტომბრის ბელადო

ხ ა ლ ხ შ რ ი

ლენინ, ოქტომბრის ბელადო, მთელ მსოფლიოს გააღვიძებს
შენ არა ხარ ჩვენთვის მკვლარი; შენგან შემოკრული ზარი.

საქართველოს კომუნისტური პარტია

დედა

სულიკო დინასიძე

ვის ახარებს ჩვენი ღმერთი?
ვის აწუხებს ჩვენი სევდა?
ვინ გუთავაზობს კეთილ დიმილს?
დედა, სუვერუდი დედა!
ჩვენსუ შრუნვით არ იღლება,
თავს ეკლება ჩველით აკვანს,
მხოლოდ უღირსს შეუღლია
რომ არ სტყვიდეს დედას-თაყვანს.



რვა მარტი ქალ-
თა საქართველოს
დედა.

ყოველ წელიწადს
ჩვენს ქვეყანაში,
დიდ დღეშივესარ ზე-
ნიად გადაიხვევა ხო-
ლმე რვა მარტის
დღესასწაული. სი-
ხარულით ვგვაგვიან
ამ დღეს საბჭოთა ქა-
ლები: თქვენი ბაბი-
ბი და დედაბი, თქვე-
ნი უფროსი დები.

ჩვენ ამ დღეს მხარ-
დაშარას ვუცხადებთ
კაპიტალიზტურ ქვე-
ყნაბში მცხოვრებ
უფლებათ ქალებს,
რომლებიც ბავშვით
ბადნიერებისკითვის
იბრძვიან. იმ უფ-
ლებარტარით მათ
შველა დარიბი, მათ-
თვის უხვობა ის სიპა-
რბ და სიუხვა, ის
ზრუნვა და ვურად-
ღება, რომლითაც
ჩვენს ქვეყნაში ქა-
ლები პირან მარტო-
ნილნი.

ჩვენთ კატარა მე-
ბობრებო, ჩვენთ ბი-
ბუნებო! თქვენი მი-
ულრებით რვა მარ-
ტის დღესასწაული
თქვენს ბაბიბან, და-
დაბს, დებს.



უნდა ბიჭვარდის

ნოდარ შამანაძე

თუკინდ ხალისი სწავლისა
არასდროს გამოკვლისი,
მხოლოდ სუთებზე იწავლო,
ოთხი არ გამოგერიოს,
პატარამ დიდებს ხუთობი,
ტონდეს ეგვალფერის უნარი,
ცმბოც იცოდე, სიმღერაც
ფედასიკან დაწე უნარი,
იყო მარდი და ტუკადი,
სურსაც მოგვედეს, მალეც,
მინც არაფრად ივარკებ,
არ გაიზრდები ვეკვცადე,
თუ მოფლი ტულით არ გიკვარს
შენი დედალი, მამული,
დედის ენა და დედის შუკ
და დედის იაფანური.

ლალის სიმღერა

ავთანდილ მგზავლიშვილი



თჱ, რა სწორად,
თჱ, რა მარჯვედ
ვასუფთავებ
ჴერს და ფანჯარებს.
ვრევესავ ჴურჴელს,
ვარიაღებ.
ცინრუტეით
ღაურიაღებ.
ღღეს შინა ვარ
მარტოღმარტო,
ვსაჴმანობ
სარეღმარტოღ!

ჰაი ღეღასა

ავთანდილ ზარგანიძე

ჰაი ღეღასა,
ღეღასა...
ეს ჴორი რაღმდეს ბეღავსა:
წიწილა აღარ იღმარ,
თავს დასტრიაღებს ღეღაღასა,
ვებრასღა ბაბუაჴემი,
ღავენღულ ფიღთას სეღსავსა.



05

გიორგინი ნატროშვილი

ია პატარა გოგო იღო,
სულ ოთხი წლისია.

ერთღელ მამამ სასღირ-
ნოდ წიღეღანა. მიწღორ-
ში ვაღეღინენ. მშინი ოღე
იღო, ბაღორღეი ჩრღღიღში
წამოწოღლიღღეღენ და იზ-
მოარღბოღენ, კეღეღეღი დაბ-
ტოღენენ. იამ იჴ ერთი ძა-
ლიან ღამაში უღეღიღი
ღაინაბა, ბუჴის ძირას
ამოსულღეღო, ისიკ პატარა
იღო და იასაღვით მორღბეღი.
მამამ უთბრა:

— აი, ეგ უღეღიღი შენი
სენნიია, მაღასაღე ია ჰეღეღა.
გოგონას ძალიან ვაუჴ-
ღირღა. მიღეღა, მოღეღეღა
უღეღიღს და ჰეღითბა:

— ღეღა გეღავს?
უღეღიღმა არაღღეღი უღა-
სუბა, მამამ კი უთბრა თა-
ვის გოგოს:

— ზეღავ, შენსაღვით მო-
რღბეღი, ზმა არ ვაგეღა. ღე-
ღა კი ჰეღავს, მაშ ისე რო-
გორ ვაიზრღებოღა? აი, ეს
მიწაა მავისი ღეღა. უღე-
ღას ჰეღავს ღეღა, აღღეღ იმ
ზბოსაღე, აი, იმ კეღისაღე,
და უღეღას ძალიან უღეღარს
თავისი ღეღა. ღეღა რომ
არა, ჴეღეღანზე არაღეინ არ
იენებოღა.



ქართული
შინაგარეული
ბავშვთა ბიბლიოთეკა

მეცნის



შინ გაღვიძებს შენ

— ღვიძი, ღვიძი, ღვიძილო,
უნდა გამაღვიძინო,
მე რომ დილით მალევიდებ,
და მაწოდებ ნამსუხარს, რძეს,
ვინ გაღვიძებს შენ?
— ვინ და მზე.

მ მ მ ა ღ მ

ლაღმ, ლაღმ, ლაღმ,
ეს რამდენი ნერგი დაურგა,
ვერც კი დავითვალე.
ზოგი ვაშლით,
ზოგი მსხალით,
გაგვახარებს მაღმ.

შემობრძანდა ბაბაფხუული

ლელა სხილია

წიგნში ია,
ბალში ია,
ბურჭში ია,
ბაში ია,
რა ბევრია—
რა კარგია,
ნაზია და
ლაბაზია.
შემობრძანდა გაზაფხული!
რა სურნელი მოაქვს ნიავს.

მ ღ ი ს ლ

სიბა ამბიამილი
გააურეს ლელიანი,
ზეცა მალაღვიძინი.
თხა კიკინებს წვერიანი,
აქეთ-იქით დაჩრტვებს
ბატი მალაღვიძლიანი—
დღეს კულრაჟა ვლისო
რა საამოდ მღერისო,
ბეზიასაც შევლისო,
ნეტავი რას ვლისო?
აღმათ დიდი ბურთი უნდა
ცისარტყელას ფერისო.



სამშუალოდ მივდივარ ბინი უშვარია

აი, ჩემი საბარგო,
ტრაქტორი და ამწე,
უფროს მშებთან მივდივარ
სამშუალოდ ბაშე.





ცრუპენტილა

— პირი რომ არ დაიბანე,
დღღამ როვორ გაიგოს?
— პირსახოცის დასველება
დაშავიწუნა, მაიკო.

მტირალა

— დედი, ქუჩაში დავეპარდი,
— მერე, იტირე, თიკო?
— ნეტავ რად უნდა მეტირა,
იქ ხომ არავინ იყო?



შოთა აშიანაშვილი



შაბათობა

ღია ასათიანი

დღეს შორენას, სოფოს, ქეთის,
ლიკას, თამროს, ეკას, ნიას
შინ და გარეთ, უსუფთაო
არაფერი დარჩენიათ.
სახლიც კარგად დალაგეს,
გამოშავეს მთელი გზო,
უხარიათ—შაბათობა
ჩვენც მოვაწყვეთ კვირა დღესო.

მხატვარ ზურაბ ფორჩხიძე

უნო მასაზეში

თუთრი თბა გავათსათუთრი.
დაუადიციებული ფრინველები უფრო დაუადიციუკლებიან.

ჭაბოტანები

დავაბამ—დაღის, ავუშვებ—გვას.
ცეცხლში ჩავაგდე—ზმად გადიქვა,
წყალში ჩავაგდე—წყლად გადიქვა.

კ უ ტ ი კ უ რ ი

მარგო თომაძე

ბებომ ვარცლი გადმოიღო, შიგ ფქვილი გაცრა, საფუარი ჩადო, წყალი დაასხა და მოზილა. მერე ცომს საფენი გადააფარა, გარშემო შემოუქექა და კარვად ჩათუნა.

— ბებო, ფიჩხი მოვიტანეთ! — შემოცვივდნენ სათონეში ლოყებალეწილი ბიჭები.

— აგრემც გაგიხარიათ, ისეთი დაბრაწული


რე მიაყოლა, მერე — მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე გუნდა კი ადგილიდან მოსხლტა და გარე ჩახნახებულ ნაღვერდალზე მოადინა ტყაპანი.

იბევც კუტიო, — თქვა ბებომ თავისთვის.

პურის ჩაკვრას რომ მორჩა, ბებომ თონეს ზევიდან ფიცრები გადააფარა და იქვე ჩამოვდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გადახადა და გვილიმა:

— ერთი ამ პურებს უყურეთ, რა ბრაწა-ბრაწა ყუები გაუკეთებიათ, — სათითაოდ ამოყარა, მერე კინჭოტით კუტიც ამოავლო.

— აი, შე კუტო, კუტალა, თვალი კი დაგიდგეს, ეგლე ახლა ეგრე დამწვარი და დანაცრული. ცხელი პურის სული იქაურობას მოედო. მოცვივდნენ ბავშვები, ზოგი დაბრაწულ ყუას კეჩი-



პურები გამოგიცხოთ. — მოეფრა შვილიშვილებს ბებო, თონეს თავი გადახადა, ფიჩხი ჩაყარა და მოუკიდა. მერე ისევ ვარცლისაკენ გასწია. გაფუებული ცომი ნაწილ-ნაწილ ამოგუნდავა და ხონჩაზე დაალავა.

თონეში ფიჩხი რომ ჩაიწვა, ბებომ ცეცხლი განჩრკია. ცომის გუნდა თონის გახურებულ კედელზე მიაკრა და გააბრტყელა. იმ გუნდას მეო-

ლა, ზოგიც — შემხმარ ნაპირებს აკნატუნებდა. მეზობლებსაც მიაწოდეს. კუტისთვის კი ზედაც არავის შეუხედავს. ეგდო კუთხეში საბრალოდ და დანაცრებული გული სტკიოდა: — მე არავის გულდივარ, ხელი არავინ მახლოო!

მოგვიანებით თონესთან პაპა მივიდა, წვერზე ხელი ჩამოსივა, პურს გადახედა, კუთხეში კუტი შენიშნა, ფრთხილად აიღო, სული შეუბერა, ნაცარი მოაშორა და შუაზე გადატეხა...

— იფ, რა კარგი კუტია. ნამდვილი პურის სული ასდისო, — თქვა და გემრიელად ჩაკბინა. გაუხარდა კუტს, ძალიან გაუხარდა და პაპას შაქარივით ჩააღნა პირში.



საბჭოთა კავშირის დროშა

დროშა

ს ა ბ ჭ ო თ ა

კავშირის დროშა სწორ-კუთხოვანი ქსოვილია. ზედა მარცხენა კუთხეში, ტარის ახლოს გამოსახულია ოქროს ნამგალი და ურო, მათ ქვეშ კი—ოქროს არშიაზემოვლებული ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი.

წითელი—ჩვენი სახელმწიფო დროშის ფერი— იმ სისხლის ფერია, რომელიც დაიღვარა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ესაა ბრძოლის, იმედის, სიხარულისა და გამარჯვების ფერი.

წითელი დროშით ჯერ კიდევ 1876 წელს გამოვიდნენ დემონსტრაციაზე რუსეთის მუშები.

ეს დროშა ფრიალებდა 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე.

ჩვენი სამშობლოს წითელი დროშა აღმართული უმაღლესი საბჭოს შენობაზე, კრემლში.

იგი ამაყად ფრიალებდა ჩრდილოეთ პოლუსზე პაპანინელთა გმირული ექსპედიციის დღეებში, ფრიალებს სამხრეთის სუსხიან ანტარქტიდაში.

წითელი დროშა ეჭირათ ხელში კომკავშირელებს ყამირის და ჩრდილოეთის ნავთობის საბადოების ათვისების დროს.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში საქართველოს გასაბჭოების მუწყებელი წითელი დროშა აფრიალდა.

საბჭოთა მეომრებმა ფგოროვმა და ქანთარამ გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს ბერლინში, რაიხსტაგზე.

თავისი დროშა აქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასაც. ეს დროშაც მართკუთხა წითელი ქსოვილია. ზედა კუთხეში ტართან მოთავსებულია ცისფერი კვადრატი, კვადრატის შუა-კვადში—წრე, წრეში—ნამგალი და ურო, მის თავზე—ხუთქიმიანი ვარსკვლავი. წრიდან კვადრატის მხარეებს 24 სხივი ვფინება. კვადრატის მარჯვენა მხარეს დროშას მთელ სიგრძეზე გასდევს ცისფერი ზოლი.



ს ა ბ ჭ ო თ ა

კახლაკა

ემბლემა—ბერძნული სიტყვაა და რაიმე ცნების, იდგის პირობით ნიშანს, მის სიმბოლოურ გამოსახულებას ნიშნავს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშაზე ოქროსფრად მოვლვარე ნამგალი და უროა გამოსახული, ეს ჩვენი სამშობლოს ძლიერების—მუშათა და გლეხთა ურღვევი მეგობრობისა და ერთიანობის ემბლემაა.

ცნობილია, რაოდენ წყნარი, მშვიდი ფრინველია მტრედი, ამიტომ იგი მშვიდობის ემბლემად არის ქცეული.

პიონერების ემბლემა კი პიონერული ყელსახვევია, იგი კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების მკიდრო კავშირის გამომხატველია.



ვაშა, ვაშა,



ზივი ზივიანიამ

ფრინდი—ფრინდი—ფრინდებით
 ვინ მოიხმო ჩიტები?
 ვინ მოჩითა მინდვრები
 კრელაქრულა ჩითებით?
 მზის ცეცხლოვან დაირას
 ვინ შემოჰკრა თითები?
 ნეტავ ვინ ააცეკვა
 პატარები, დიდები?
 ვენახებში ვაზები
 ასე ვილამ დარაზმა?
 — თვალხატულა გოგონამ—
 გაზაფხულმა ლამაზმა!



ლორჯი ციდან ცხრათვალა მზეს
 დედამიწას ვადმოსახა:
 — ყველამ, ყველამ მოისმინეთ,
 ამბავს გეტყვით ახალთახალს.
 გაიხედეთ, თუ რა ზღება,
 გაზაფხული მობრძანდება!

ახმიანდა კაკაკი,
 ჩაუქროლა ტყეს:

გაზაფხული!



— გაიღვიძეთ, გაზაფხული
 მობრძანდება დღეს.
 დედამიწა აღტაცებით
 ესალმება მზეს!
 აწკრილდა ტყეფიფონი
 შესძრა არემარე:
 — გაზაფხული მოიჩქარის,
 გამობრძანდით გარეთ!
 წამოვარდა დათვი,
 თავს იქეჟავს თათით.
 შეაბობლდა ველოსიპედს
 წინ მიიკვლევს გზას:
 გა-ზა-ფხუ-ლი მობრძანდება!—
 აწკრილდება ზარს.
 აქ კურდღლები გამოცვივდნენ,
 ციყვიცა და ზღარბიც:
 — დათუნიას დამიხედეთ
 სულ პირველი გარბის!

გამორბიან უკლებლივ
ირმები და ნუკრები...
უცხად ვზოვებიდან
გაღმოფრინდნენ იხვები:
— ბატო, ბატო ბატონო!
დარუნჩას საით მიყვები?—
სიხარულით ფრთოსნებმა
გააჩაღეს ტაში,
იხვები და ბატები
გადავშენენ ტბაში.
ჰა, გამოჩნდნენ სოკოები
კაცუნები ქონდრის:
— ნეტავ რა ამბავია?
— გაზაფხული მოდის!
მოჰყვებიან მერცხლები,
ყვავილები კორდის,
შვევგებოთ სუყველა,
გაზაფხული მოდის!
— რა მოფრინავს ჰაერში,
ეს მანქანა ვისია?
— მოეცალეთ, გამოჩნდა,
იღებს ტელევიზია!
უცხად შეწყდა ყიყინა,
სუყველამ ხმა გაკმინდა,
გაზაფხული ვერტმფრენით
დიდ მინდორში დაფრინდა.
ახმაურდნენ დამხვედრნი,
ხმა გაისმა ტაშის,
ზეიმია მიწაზე,
ზეიმია ცაში!



მხატვარი ვაჰა გელაშვილი



რატომ ვდღესასწაულებთ ოქტომბრის რეპლუზციას ნომებერში?

გზემითხება თბილისის 54-ე საშ. სკოლის
II კლასის მოსწავლე ბეორგი ბუაძე.

მართლაც რომ საინტერესო შეკითხვაა. ოქტომბრის დღი სოციალისტური რევოლუცია 25 ოქტომბრის დაიწყო, ამიტომ ჰქვია მას ოქტომბრის რევოლუცია, თქვენც ამიტომ დაგერქვათ ოქტომბრელები.

მაშ რატომ არის, რომ ეს დღესასწაული 7 ნომბერის აღინიშნება?

მეფის რუსეთში კალენდარი იხეთი როდი იყო, როგორც სხვა ქვეყნებში. იგი სხვა კალენდრებისაგან იშთაღ განსხვავდებოდა, რომ 18 დღით ჩამორჩებოდა, 13 დღით უკან იყო.

რატომ ჩამორჩებოდა? რატომ იყო უკან? ეს მეტად რთული ამბავია. იგი ციურ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ამაზე ცოტა მოვიანებთ, როცა გაიზრდებით, მერე მიიღებთ პასუხს. ახლა კი გეტყვით, თუ როგორ გასწორდა ეს შეცდომა.

რას შერებთან, როცა საათი ჩამორჩება? რას შერებთან და ისრებს წინ გადასწევინ! რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ასე მოექცნენ კალენდარსაც—მისი ფურცლები 13 დღით წინ „გადასწიეს“.

ჰოდა, აქედან ის გამოვიდა, რომ გასწორებულმა კალენდარმა (ანუ ახალმა სტილმა) ცამეტი დღით გადაიწია და ამრიგად, ჩვენი დღი დღესასწაული ოქტომბრის 25-ის ნაცვლად 7 ნომბერის დაემთხვა.

მოგზაობა პოლანაში



სპრინტი და მარათონი



სიტყვა „სპრინტი“ ინგლისურია და „მოკლე მანძილზე რბენას“ ნიშნავს. ალბათ ყველას გინახავთ, როგორ ვეჯობრებიან ხოლმე ერთმანეთს სპრინტერები — ყველაზე სწრაფი მორბენლები. გაისმის მსაჯის ხმა — „სტარტზე!“ სპორტსმენები ცალ მუხლზე ჩაიჩოქებენ, ხელეებით მიწას დაეყრდნობიან. მერე მსაჯი დაიძახებს: — „ყურადღება!“ მორბენლები წამოიწევენ, ოღონდ ხელებს მიწას არ აშორებენ. დაბოლოს, გაისმის სროლის ხმა, სპორტსმენები ერთბაშად მოწყდებიან ადგილს და ფინიშისაკენ გარბიან. დაბალი სტარტი

ამ ოთხმოცდაათი წლის წინათ კენგურუსაგან გაღმოიღეს. ერთმა ამერიკელმა მორბენალმა ავსტრალიაში მოგზაურობისას შენიშნა, როგორ უცნაურად წაკუზული იწყებდა სირბილს კენგურუ. გაიფიქრა: რა იქნება, მეც რომ ასე დავიწყო სირბილიო. პირველად, როცა იგი სტარტზე კენგურუსავით დადგა, მაყურებლები სიცილით დაიხოცნენ, მაგრამ მორბენალმა ამას ყურადღება არ მიაქცია. გაისმა სტარტის ნიშანი. ზამბარასავით მოწყდა ადგილს დაბალ სტარტზე მდგომი მორბენალი და ყველანი უკან ჩამოიტოვა. ის ღლე იყო და, სპრინტერებმა დაბალი სტარტით დაიწყეს სირბილი.

ოლიმპიურ თამაშებზე შეჯიბრება გრძელ მანძილზე სირბილში — მარათონშიც იმართება. მარათონის მანძილი 42 კილომეტრი და 195 მეტრია. ალბათ



გაგიკვირდებათ, რაღა მანცდა მანინც 42 კილომეტრი და 195 მეტრიო? ამის ისტორია ასეთია: დიდი, დიდი ხნის წინათ (მას შემდეგ ორი ათას ხუთასი წელი გავიდა), საბერძნეთში მარათონის ველზე ერთმანეთს შეებნენ საბერძნეთისა და სპარსეთის ჯარები. საბერძნეთს მცირე არმია ჰყავდა, სპარსეთს — მრავალრიცხოვანი. ბერძნები თავისუფლებსათვის



იბრძოდნენ და დაამარცხეს მომხდურნი. გამარჯვებულეებმა დედაქალაქში მახარობლად ყველაზე ფეხმარდი მებრძოლი ფილიპიდი გააგზავნეს. ფილიპიდიმასულმოუთქმელად ირბინათენამდე. ქალაქში მისულმა მალემსრობლმა შესძახა: „გავიმარჯვეთ!“ დასული განუტევა. გმირიმებრძოლის პატრესაცემად ბერძენებმა შემოიღეს მართონული რბენა 42 კილომეტრსა და 195 მეტრზე (ასეთი მანძილი იყო მართონსა და ათენს შორის). მართონულ რბენაში პირველად ბერძენმა ფოს-

ტალიონმა სპიროს ლუისმა გაიმარჯვა. ამ გამარჯვებამ საბერძნეთის მეფე ისე გაახარა, რომ დაივიწყა მეფური მდიდურობა და ფოსტალიონთან ერთად სულ ცეკვა-ბტუნვით ჩამოუარა ხალხით სავსე ტრიბუნებს.

ისტორიამ ერთი ბერძენი მორბენალი ბიჭის სახელიც შემოგვინახა. ამ მიღეთელ ბიჭს პოლიმნესტორი რქმევი. იგი თურმე თხების მწყემსი ყოფილა და ამ ანცი ოთხფეხების დევნით ისე გაეარჯიშებულა, რომ შემდგომ ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარა.

სპრინტი და მართონული რბენა მძლეოსნობაში შედის. მძლეოსანთა შეჯიბრება მოსკოვის ოლიმპიადაზეც ჩატარდება. ეს მეტად მიზმიდველი სანახაობა იქნება.

საქართველოს მძლეოსანთაგან ყველაზე დიდ წარმატებას ოლიმპიურ თამაშებზე მიღწევს რობერტ შავლაყაძემ და ვიქტორ სანეევმა. რ. შავლაყაძე რომის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა სიმაღლეზე ხტომაში, ვ. სანეევი კი სამეზის ოლიმპიური ჩემპიონია და ახლა მეოთხე ოლიმპიადისათვის ემზადება.





მხატვარი ელზარდ ამგონაძე

თეთრი

კბურჩი



ცხრასართულიან სახლში ლიფტის კარი ღია დაშვდა. მიმჩქარებოდა და მაშინვე კაბინაში შევიდა. ის იყო კარის დაკეტვის ვაპირებდი, რომ მომესმა:

— ძია, არ დაკეტოთ, ზევით მოვდივარ,— ღია კარიდან ხუთიოდე წლის გამხდარმა, შავთვალემა ბიჭმა შემომცინა. ორივე ხელით მკერდზე თეთრი სილიკატური აგური მიეხუტებინა.

— შემობრძანდი,— ვთხოვე ბიჭს.

ბიჭი შემოვიდა, აგური ლიფტის კაბინის უკანა კუთხეში ფრთხილად დადო.

— რაო, ბინაში აშენებთ რაიმეს?— შევეკითხე.

— არა, რას უნდა ვაშენებდეთ.

— აბა აგური სად მივაქვს?

— არსად, ლიფტის ლილაქს ვერ ვწვდები და ზედ შევდგები ხოლმე... გუშინაც შემოვიტანე და ვილაქს გადაუვლია.

სიცილი წამსკდა, სქელ, შავ თმაზე ხელი მოფერებით გადავუსვი:

— რა გქვია?

— ზაზა!

— მე—ოთარი.

— ახლა წავიდეთ!

— რომელი საჩუღი გნებავს, ზაზა ბატონო?

— შეექვსე.

ლილაქს თითი დავაჭირე, ლიფტი დაიძრა. ზაზამ კმაყოფილებით შემომცინა.

ლიფტი შეექვსე საჩუღულზე შეჩერდა, კარი გავადე.

— აბა, კარგად იყავი!

— ნახვამდის, ძია ოთარი!

გზა შეცხრე საჩუღლისკენ განვაგრძე.

თეთრი აგური კობტად იღო ლიფტის კაბინის უკანა კუთხეში.

ძარბაზის ხალხური ფლავარი

ერთ მკვდელს ზარბაზი შვილი ჰყავდა. არაფერს აკეთებდა, მთელი დღე უსაქმოდ დაუიღებდა. ხანამ მამამისს ღონე შესწევდა, ის მუშაობდა და არჩენდა თჯახს. როცა დაბერდა და დაუძლურდა, მოსუცი საგანებელში ჩავარდა.

იწვა ავადმყოფი და შვილის დარდი აწუხებდა.

ბოლოს დაუმსხა ცოლს:

— რა ვქნათ, ეს ბიჭი ზარბაზი და უქნარა გვეზრდება. თუ შრომას არ მიეჩვიო, მთელ ჩემს ქონებას ვინმე უცხოთ ვუანდერძებ, ეგ მაინც გააჩანაგებს, მანეთის შოვნაც კი არ შეუძლია.

ეწეინა ცოლს:

— როგორ არ შეუძლია!

— აბა, თუ შეუძლია, წავიდეს, იძოვოს და მოიტანოს, — უთხრა ქმარმა.

გამოვიდა ცოლი, მისცა შვილს მანეთიანი და დაარია:

— წადი, შვილო, მთელ დღეს ნუ გამონდები, საღამოს შოდი, მიეცი მამას ეს უუღი და უთხარი, მე ვიმოგე-თქო.



წავიდა შვილი, იარა ადმა-დადმა. სდა-
მოს მოვიდა, გაუწოდა მამას მანეთიანი და
უთხრა:

— გადგუევი ამ მანეთის მოვასთო.

მამამ აიღო ფული, დასუნა, გადააბრუნ-
გადმოაბრუნა, ბუსარში შეკვლო და თქვა:

— ეს შენი ოფლით არ არის ნამოუ-
ნო.

ბიჭმა გაიცინა და დედასთან წავიდა.

დედას ეს ამბავი ძალიან ეწუინა. შერეუ
დღეს კიდევ მისცა მანეთიანი და ასწავლა:

— წადი, მთელი დღე თუნდაც უქმად
იარე, ოღონდ სდაძო ხანს ირბინე, ირბი-
ნე, დადლილი და გოფლილი მოდი და
იქნებ დაგაჯეროს, რომ ეკ მანეთიანი თვი-
თონ იმოუყო.

ერთი კვირა დაეჭირდეს, იმუშავე. ^{როცა}
მე ერთ მანეთს მოუყარე თავი, ^{არსად}
მამაშენს შენი ოფლით ნამოვნი ფული და
გახსარეო.

დაუჯერა ბიჭმა დედას. წავიდა და მართ-
ლაც მთელი კვირა იმუშავა. ზოგს რა გა-
უკეთა და ზოგს რა. ზოგმა მსური მისცა,
ზოგმა ორი მსური. მოატროვა გაჭირვებით
მანეთი და მოუტანა მამას. მამამ უსუნა ამ
ფულსაც, ხელიდან ხელიში გადაიყარა და
ისევ ბუსარში შეკვანა:

— არა, შვილო, არც ეს ფულია შენი
ნამოვნიო.

ბიჭმა ხსლბ კი ვეღარ მოითმინა. ეცა
ბუსარს, ხელლებით კამოხვეტა ბუსარში შე-
რილი ფული და აუვირდა:



წავიდა შვილი, მთელი დღე უსქამოდ
იყილა, სდაძოს კი გაოფლილი შეკვრდა
მამასთან, გაუწოდა ფული და უთხრა:

— აი, ჩემი ოფლით ვიმოუყო.

აიღო მამამ ფული, გადააბრუნ-გადმოაბ-
რუნა და ბუსარში შეკვანა:

— მატუეუბ, შვილო, არც ეს ფულია
შენი ნამოვნიო.

გაიცინა შვილმა და წავიდა დედასთან.

დედას გული მოუკვდა: მიხვდა, ცუდად
იყო საქმე და ბიჭს უთხრა:

— შვილო, სომ ხედავ, ვერ მოვატუეუთ
მამაშენი. ჭკვიანი კაცია. წადი სდაძე, თუნდ

— რას შერები, მამაშენო, მე ამ ფულის
მოვასს მთელი კვირა მოუხდი და შენ
ცუცსლმი მიერო?!
მამამ გაუღიმა და უთხრა:

— ხსლბ კი მკერა, შვილო, რომ ეკ
ფული შენი ნამოვნია, ისე დაგკევა გული.
ასე მსელაა ფულის მოვანა. იმუშავებ—გამ-
ნება, არ იმუშავებ და შიმშილით მოკვდ-
ბო.

მამამ მთელი ქონება შვილს დაუტოვა,
თვითონ კი მშვიდად გაემგზავრა იქ, საი-
დანაც უკან აღარ ბრუნდებინა.

საჩუქარი ქვეყნი

ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ ქუჩაში უსაქმური რად მდგარ ბავშვებს ვერასოდეს ნახავდით. მაშინ არც ტელევიზია იყო, არც ამდენი მანქანა. გაკვეთილებს რომ მოვამზადებდით, უბნის გოგო-ბიჭები ეზოში ან ქუჩაში ვიყრიდით თავს. იმხანად მთელს ქალაქში იყო გავრცელებული რამდენიმე ხალისიანი თამაში. ეზო ეზოს ევბირებოდა ხოლმე, უბანი—უბანს.

ახლა ეს თამაშები სავესებით დავიწყებულა. არადა, იცით რა სახალისო თამაშებია! სცადეთ, ითამაშეთ და თვითონვე დარწმუნდებით. აი, ორი მაშინდელი თამაში.

არ ააბილთ

ერთი მოთამაშე ნახშირით ან ცარციით შემოსასულ წრეში დგას, დანარჩენები კი—ირგვლივ. წრის შემოსაზე სახსაც ცოდნა უნდა; ერთი დადგეს ცენტრში, სვლში თოკის ერთი ბოლო დაიჭიროს, მეორემ—მეორე, გაჭიმოს, ირგვლივ შემოუაროს. თან, მეორე სვლში დაბურვილი ნახშირით ან ცარციით წრე შემოსასოს.

მოთამაშენი ერთმანეთს ესვრიან ბატარა ბურთს და სვლით იჭერენ, თან სვლსაუფრელ წამს ეშებენ, რათა ბურთი შუაში მდგომ ბავშვს მოარტყან. ვინც დააცილებს, ის ვება—წრეში მდგომს სცვლის. წრეში მდგომი კი ცვაილობს ბურთი აციდილოს და თავის ადგილას დამცილებუელი დაუყენოს.

თამაშის მთელი ეშხი ისაა, რომ ცენტრში მდგომმა სიმკვირესლე, ხოლო წრის გარეთ მდგომ-

მა თვალის სისწრაფე და სვლის სიმაჩრევე თუ არ გამოიჩინა, გვერდებს აწვას ვერ გადარჩება.

ეს თამაში იმითაც არის ხანტვერესო, რომ მასში გოგონები მოხაწიდილობენ და სულაც არ უდებენ ტოლს ბიჭებს (ოღონდ ერთი რამაც უნდა გასსოგდეთ—მოთამაშენი თანატოლები უნდა იყოს).

მრი ალაქი


არჩევანი-არადანით დაივავით ორ ჯგუფად: სასურველია მძის-ექსმა ან შედი-შედიმა თამაშით, ისე კი მოთამაშეთა რიცხვი მოედნის ზომასზე დამოკიდებული. შუა მოედანზე გაავლეთ ხაზი. მოედნის ერთ მხარეს რაიმეზე ჩამოკიდეთ ან დადეთ წითელი ალამი, მეორე მხარეს—თეთრი. თამაშის მიზანია მოწინააღმდეგის ალმის მოტაცება და საკუთარ მოედანზე გადატანა მოწინააღმდეგის დაბნევის მიზნით შე-

ტოქის მოედანზე შედილება ორისამი მოთამაშე ერთდროულად შეიქრას. შენს მოედანზე შემოტრიდი მეტოქე რაც შეიძლება მალე უნდა „ჩატრა“. ამისთვის მსოლოდ სვლის დაკარება კმარა. ჩატრიდი



მოწინააღმდეგე ვაღდებულა მანამდე იდგეს, ვიდრე რომელიმე თანატონდელი არ გაათავისუფლებს—სეულს არ დადებს. გამარჯვებულად ის ტუნდი ითვლება, რომელიც უფრო მალე გადმოიტანს თავის მოედანზე მეტოქეთა ალამს. ალმის ნაცვლად შეგიძლიათ ქუდი ან თავსაფარი იხმაროთ






ჩრდილები კედელზე

ეს გასართობი ძველ-თაძელება. შესაძლოა, ჩვენი შორეული წინაპრებში—ჭების ხანის ადამიანებისც იცნობდნენ ასეთ თევზსაჭეცებს და ერთობოდნენ.

კედელზე სვადანსება ჩრდილის ჩვენება მართო გასართობი როლია, —იგი ავარჯიშებს დაკვირვების უნარს, საუკეთესო საშუალებაა ხელუბნის ზუსტი მოძრაობის გამოსაშუშავებლად.

ჩრდილები მისაღებად ელექტრონათურა ისე უნდა დადგათ, რომ ხელის ჩრდილი ზუსტად გადავიდეს კედელზე.



პატარა გიგა მამამ სახეირნოდ წაიყვანა. გიგა სიხარულით ცახ ეწინა. მამასთან სიხარული ძალიან უყვარდა. უცებ წინ უშველებელი ძაღლი შემოეფეთათ. ძაღლი აყვებდა. გიგას შეეშინდა.

— ნუ გეშინია, შეგლო. დამშვიდა მამამ, არ იცი ანდაზა: „მუყუარა ძაღლი არ იკბინებაო“?

— მე და შენ კი ვიცით, მამიკო, ეს ანდაზა, მაგრამ ძაღლმა თუ იცის? — მიუგო გიგამ.

დედამ ჰკითხა ლალოს:
— ხელუბი დაიბანე?
— კი, დედა, შეხედე პირსახოცს!

გიამ ონკანთან პატარა სკამი მიიტანა, ზედა ავიღა, ონკანი მოუშვა და იყო ერთ ამბავში.

უცებ სკამი გადააოჯრავდა და გიაც გადავარდა.

— ჩუ, ჩუ, ნუ ტრიბი...—დააწუნარა დაიკომა,—არ იცი, რომ მარტო ეგრე დაიბანდი ხელუბი?

— თუ შენ იბან ხოლმე!

— მე და შენ ერთი ვართ?

— არა, ორი! —ცრემლი მოიწმინდა გიამ.

საქართველოს
ალკ. მ. ლინის
და მ. მ. ლინის
საბავშვო
პროდუქტების
კომპანია
ორბენიზაციის
დისპუზიციური
საბავშვო
ფაბრიკა
გამოცემის
მ. მ. ლინის
საქ. კ. ცე-ის
გამოცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი მ. მ. ლინი მ. მ. ლინი

სარედაქციო კოლეგია: ელზარ ლომიძე, ილია ანთონიძე, კუპარი გომიანი, ლეილა მარაძე, ზურაბ ლომიძე, (პ. მ. მდივანი), მანანა კობახიძე, გილა ლოსაბერიძე, მარგალიტა მარგალიტა, გიორგი გომიანი (საშ. რედაქტორი), გივი მარაძე, გარი ნიკოლაი, გივი გომიანი.

ტექნიკური ნაწილი

მთავარი რედაქტორი, გამომცემლის, საბავშვო, ლინის, 14. გულ. რედაქტორი — 93-41-30, 93-98-15; პ. მ. ლინის — 93-41-30, 93-98-17; საშ. რედაქტორი — 93-98-18; გამცემი — 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაცემა ხარჯები 7/1-80 წ. ხელმოწერისას დასაბუთებ 3/11-80 წ. კადასტრის ზონა 60X100, დს. ნაზ. დარც. მ. მ. ტრავა 172.450. შედ. № 72 „დილა“ № 3. na gruzijskomo yazke. ფასი 20 კპ



დავით კაკაბაძე

ბავშვებო, გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე თქვენ ზედავთ გამოჩენილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის ორ ქმნილებას.

დავით კაკაბაძე 1889 წელს დაიბადა გლეხის ოჯახში. სწავლობდა გიმნაზიაში. მას ბავშვობიდანვე ძალიან იტაცებდა ხატვა, უყვარდა ძველ-ვა. გიმნაზიის შემდეგ დ. კაკაბაძე პეტერბურ-

გის (ახლანდელი ლენინგრადის) უნივერსიტეტში და უცხოეთში სწავლობდა.

პირველ გვერდზე დაბეჭდილია დ. კაკაბაძის ერთ-ერთი შედევრი — „დედის პორტრეტი“ („იმერეთი — დედაჩემი“). როგორც სურათის სახელწოდებიდან ჩანს, აქ ერთმანეთთან შერწყმულია ორი ძვირფასი სახე — სახე დედისა და სახე სამშობლოსი. მხატვარი გვეუბნება: დედა და სამშობლო ერთ-ნაირად ძვირფასი და საყვარელიაო.

ამ გვერდზე კი დაბეჭდილია დ. კაკაბაძის ცნობილი აკვარელი „რიონისა“. იმერეთის თვალწარმტაცი ბუნების ფონზე მოჩანს რიონისპირის პიონოვლისადგურის ნაგებობა.

დ. კაკაბაძე თეატრში და კინოშიც მოღვაწეობდა, მაგრამ ყველაზე უფრო მას საქართველოს პეიზაჟი იტაცებდა და დაიმკვიდრა კიდევ უბადლო პეიზაჟისტის სახელი. მისი იმერული პეიზაჟები დიდ სიბოლოთი, ნამდვილი პოეტური შთაგონებით არის ამეტყველებული.